ზურაბ ბერია
ფიზიკის დოქტორი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ფიზიკის ექსპერტ-კონსულტანტი

მასტერ კლასი ფიზიკის მასწავლებლებისათვის

მასწავლებლის საქმიანობა, ისევე როგორც სხვა პროფესიები, მუდმივ განვითარებას საჭიროებს, წინააღდეგ შემთხვევაში, ვერ ავუწყობთ ფეხს ახალ გამოწვევებს, რომლებიც მუდმივად ჩნდებიან ჩვენს წინაშე კაცობრიობის განვითარების შეუქცევადი პროცესებიდან გამომდინარე. ამ ახალ გამოწვევებს ახალი მიდგომები, ახალი მეთოდები და ახალი ტექნოლოგიები სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სფეროში წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და გაზიარება. ამ მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებები ტარდება - მათ შორის სხვადასხვა კვლევები, მათ საფუძველზე ხდება რეკომენდაციების შემუშავება და შემდეგ მათი განხორციელება.
საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებელთა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა, გეოგრაფია, ინგლისური) უმეტესმა ნაწილმა გაიარა საკმაოდ ინტენსიური ზოგადი და საგნობრივი ტრენინგები, რომელთა ფონზე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ძველი და გამოჩნდა ახალი პრობლემები და სუსტი მხარეები ჩვენი პედაგოგების საქმიანობაში. გამოჩნდა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აქტუალური და მოთხოვნადია ჩვენი მასწავლებლებისთვის.
აჭარის პედაგოგებისთვის განკუთვნილი წლევანდელი მასტერ-კლასი ფიზიკაში ამ ტრენინგებზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით ჩატარდება.
მასტერ-კლასის მიმდინარეობისას პედაგოგები გაეცნობიან იმ საკითხებს, რომლებმაც ყველაზე მეტი დაინტერესება გამოიწვია ამ ტრენინგებზე - ეს შეეხება, განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს ფიზიკის სწავლებისას, აქტიური სწავლების იმ მეთოდებს და მიდგომებს, რომლებიც საკმაოდ დატვირთული ზოგადი თუ საგნობრივი მოდულების მიღმა დარჩა, ცოცხალი და ვირტუალური ლაბორატორიის ეფექტურად გამოყენებას სასწავლო პროცესში, დისტანციური სწავლების მეთოდებს.
ასევე გაეცნობიან უახლესი კვლევების შედეგებს, რომლებიც ნათლად დაგვანახებს ფიზიკის სწავლებაში არსებულ რეალურ მდგომარეობას ჩვენ ქვეყანაში. გაეცნობიან იმ სიახლეებს რაც დაანონსდა განათლების მიმართულებით და იმ გამოწვევებს, რის წინაშეც მოუწევთ დადგომა მასწავლებლებს.
მასტერ-კლასი ჩატარდება კონკრეტული აქტივობებისა და საკითხების ფონზე, რომლებშიც პედაგოგები თავად მიიღებენ მონაწილეობას და შედეგად ისინი ახალი პრაქტიკული ცოდნით და ახალი მეთოდიკით შეარაღებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ სასკოლო გარემოს.
მასტერ-კლასი გამიზნულია საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკის (წამყვანი, უფროსი და პრაქტიკოსი) მასწავლებლებისათვის.

მასტერ-კლასის ხანგრძლივობა 4 საათია და შედგება 1-საათიანი 4 სესიისგან.